

**ტელეკომპანია „მთავარი არხის“ თვითრეგულირების ორგანოს-„კომისიის“
გადაწყვეტილება**

ქ. თბილისი

29 მაისი, 2020

კომისიის შემადგენლობა:

გენერალური დირექტორი - ნიკა გვარამია

დირექტორი; „გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების“ პროექტზე მომუშავე პირი -
თამთა მურადაშვილი

დირექტორი - დიმიტრი საძაგლიშვილი

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
„გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების“ პროექტზე მომუშავე პირი- თეონა ჩემია

დაინტერესებული პირები:

მაია გელაშვილი (საჩივრის ავტორი)
თამარ კაპანაძე

კომისიის განმარტება

კომისია განმარტავს, რომ 2020 წლის 29 მაისს, ტელეკომპანია „მთავარი არხის“
თვითრეგულირების ორგანოში, თვითინიცირების საფუძველზე, ჩანიშნული იყო სხდომა
რამდენიმე სავარაუდო დარღვევის განსახილველად: 2020 წლის 17 მაისის, გადაცემა „Post
Factum-ის“ წამყვანის, გიორგი გაბუნიას მონოლოგთან, ე.წ. „გაბულოგთან“ დაკავშირებით.
ასევე, „Post Factum-სა“ და სხვა გადაცემებში გასული სხვა მასალების სავარაუდო
დარღვევასთან დაკავშირებით.

ვინაიდან კომისიის მიერ თვითინიცირებით განსახილველ ერთ-ერთ საკითხზე, გიორგი
გაბუნიას 2020 წლის 17 მაისის გადაცემაზე, შემოვიდა დაინტერესებული პირისგან საჩივარი,
აღნიშნულ საკითხზე კომისია მიიღებს ცალკე გადაწყვეტილებას. რადგან დანარჩენი
სავარაუდო დარღვევის საკითხები ეხება ნიკოლოზ ბასილაშვილისა და ნელი
დოროფაშვილის გახმაურებულ საქმეზე სხვადასხვა დროსა და გადაცემაში გაშუქებას,
კომისიის გადაწყვეტილებით ყველა დანარჩენი საკითხი გაერთიანდა ერთ თემად და ამ
საკითხებზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება ცალკე, ერთიანი გადაწყვეტილების სახით.

საჩივრის დასაშვებობა

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით
დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ
ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლობის საქმიანობა.
კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან თვითრეგულირების მექანიზმის მიზანია მაუწყებლის
საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა, მას წინამდებარე საქმეზეც მიაჩნია, რომ
დაშვებულ უნდა იქნეს მაია გელაშვილის საჩივარი და განხილულ იქნეს კანონმდებლობის
მიხედვით.

დაინტერესებული პირის საჩივარი

დაინტერესებული პირისგან 2020 წლის 26 მაისს, შპს „მთავარი არხი“-ს თვითრეგულირების
ორგანოში შემოვიდა საჩივარი (იხ. ელექტრული ვერსია ატვირთული „მთავარი არხის“

ვებსაიტზე, გრაფაში „ჩვენს შესახებ“/„თვითონებულირება“). საჩივრის მიხედვით, დაინტერესებული პირი მიიჩნევს, რომ 2020 წლის 17 მაისს, 21:00 საათზე ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ეთერში ანალიტიკურ გადაცემაში „Post Factum“, ე.წ „გაბულოვგში“ ურნალისტ გიორგი გაბუნიას მიერ დაიღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 56-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტები, 31-ე მუხლი და 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ „გაბულოვგი #33“ დასათაურებული იყო შემდეგნაირად: „გაკვეთილი, „ქართული ოცნებისგან“: როგორ მივიღოთ სიამოვნება გაუპატიურებისგან ისე, რომ არ დავფეხმიმდეთ“. აღნიშნული ასევე გამეორა წამყვანმა პირდაპირ ეთერში. საჩივრის ავტორმა ხაზი გაუსვა დარღვევებზე მონოლოგში გაუღერებულ სიტყვებთან დაკავშირებით: „ბერწი“, „შობე“, დარეჯან, შობე“, „თუ იცი, რომ გაუპატიურება გარდაუვალია, მოდუნდი და ეცადე მიიღო სიამოვნება.“ „... ბავშვი იქ არ არის, „ქართულ ოცნებას“ ცრუ ორსულობა სჭირს“,

საჩივრის ავტორის მოთხოვნა:

- (1) დადგინდეს ურნალისტ გიორგი გაბუნიას მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 56-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, 31-ე მუხლისა და 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა
- (2) მოხდეს საჩივრის განხილვა და თვითონებულირების ორგანოში, მითითებული ნორმების დარღვევაზე მსჯელობა
- (3) მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით, არხის თანამშრომლებისა და მოწვეული სტუმრების წინასწარი ინფორმირება ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დებულებების შესახებ.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

კომისიის თვითინიცირებით განხილულ და დაინტერესებული პირისგან შემოსულ საჩივარზე მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება შემდეგი სახით:

1. დადგინდეს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 56-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, 32-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა.
2. მოხდეს რეაგირება და არხის სოციალური ქსელის გვერდიდან (ფეისბუქი) და ვებსაიტიდან აღებულ იქნეს „გაბულოვგი #33“.
3. მეტაფორული, პოლიტიკური შინაარსისა და კონტექსტის განცხადებასთან დაკავშირებით კომისიას მიაჩნია, რომ სახეზე არ არის „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევა, თუმცა, ვინაიდან აღქმის დონეზე, მაინც შეიქმნა შეურაცხმყოფელი ხასიათის შთაბეჭდილება, რეკომენდაციის სახით მიუთითებს ურნალისტს, უფრო მეტი სიფრთხილით მოვეიდოს ისეთ საკითხებს, რომლებიც შეიძლება გენდერულად სენსიტიური იყოს.
4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს საჩივრის განხილვაში მონაწილე დაინტერესებულ პირებს.
5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს „პოსტ ფაქტუმის“ წამყვანს, გიორგი გაბუნიას.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, თვითონებულირების სააპელაციო ორგანოში (საბჭო). საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. #41 და/ან ელექტრონული საჩივრის

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ იხელმძღვანელა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტებით, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საჩივარში მითითებული გარემოებების გაანალიზებისა და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად.

კომისიის ამ გადაწყვეტილებში ასახულია სამოტივაციო ნაწილი (იხ. გვ. 3-8) და სხდომაზე განხილული საკითხები (იხ. გვ. 8-16):

სამოტივაციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“, დაცულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენცია იცავს არა მხოლოდ იმ “ინფორმაციასა და მოსაზრებებს, რომლებსაც ბევრი იზიარებს ან გულგრილად ეკიდება, არამედ იმათაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, თავზარდამცემი ან შემაშფოთებელია. ამგვარია მოთხოვნები პლურალიზმისა, შემწყნარებლობისა და ფართო თვალთახედვისა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა” (Handyside v. the United Kingdom, 1976 წ.; Sunday Times v. the United Kingdom, 1979 წ.; Lingens v. Austria, 1986 წ.; Oberschlick v. Austria, 1991 წ.; Thorgeir Thorgeirson v. Iceland, 1992 წ.; Jersild v. Denmark, 1994 წ.; Goodwin v. the United Kingdom, 1996 წ.; De Haes and Gijssels v. Belgium, 1997 წ.; Dalban v. Romania, 1999 წ.; Arslan v. Turkey, 1999 წ.; Thoma v. Luxembourg, 2001 წ.; Jerusalem v. Austria, 2001 წ.; Maronek v. Slovakia, 2001 წ.; Dicħand and Others v. Austria, 2002 წ.).

საქმეში ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Oberschlik (no2) v Austria, 1997) სასამართლომ აღნიშნა: „უურნალისტი შეიძლება იყოს პროვოკაციული ან გააზვიადოს ფაქტები“. ამავე სასამართლომ, დალბანი რუმინეთის წინაღმდეგ საქმეში (Dalban v Romania, 1999) განმარტა, რომ „მიუღებელია, უურნალისტი ჩამოერთვას უფლება, გამოხატოს კრიტიკული შეფასებები, მსჯელობები, თუ ვერ შეძლებს მათი ჭეშმარიტების დამტკიცებას.“

საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეცნის წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom), სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაცულია არა მარტო “ინფორმაცია” ან “იდეები”, რომლებიც კეთილმოსურნეა, ანდა აღიმება როგორც უწყინარი ანდა ინდიფერენტული, არამედ ისეთებიც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწირის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს “დემოკრატიული საზოგადოება”

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულია მკაფრი და გაზვიადებული ენით გამოხატული შეხედულებები, ხოლო დაცვის ხარისხი დამოკიდებულია კრიტიკის კონტექსტსა და მიზანზე, რომელთა შორის მაღალი დაცვით

სარგებლობს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხები. „ურნალისტური თავისუფლება ასევე მოიცავს მოვლენების რამდენადმე გაზვიადებულად ან, თუნდაც, პროვოკაციულად ასახვას“ (Dalban v. Romania, 1999 წ.; Prager and Oberschlick v. Austria, 1995 წ.; Dichand and Others v. Austria, 2002 წ.).

დადგენილია, რომ გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ კრიტიკული შეფასებების, მსჯელობების, აზრების თავისუფლად გამოხატვის საშუალებას, არამედ გამოხატვის ხერხებს, ფორმებსაც. შესაბამისად აზრი, შეფასება, მსჯელობა შესაძლოა გამოხატული იყოს ცინიზმით, სარკაზმით, იუმორით, პაროდიით, მეტაფორით და ა.შ., რაც პირის გამოხატვის თავისუფლების ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული.

ყველა ადამიანს, ყველა პროფესიის წარმომადგენელს აქვს გამოხატვის ინდივიდუალური ხერხები და საშუალებები. მაგალითად, მწერლისა და პოეტისთვის ეს არის კალამი და გამოცემული წიგნი, კრებული; ფერმწერისთვის ტილო, რეჟისორისთვის, მსახიობისთვის ფილმი და სპექტაკლი, მუსიკოსისთვის სიმღერა, სასცენო კოსტიუმი, ტელევიზიის ურნალისტისთვის კი გამოხატვის საშუალება, პლატფორმა არის მისი სიტყვა და ეთერი. კომისიის აზრით, ურნალისტი გიორგი გაბუნია ევეტურად სარგებლობს კონვენციით დაცული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით. ის პოზიციონირებს მაყურებლის წინაშე, როგორც ერთგვარი ეპატაჟის მქონე, არაორდინალური, გამხედავი, პირდაპირი, ტრადიციული ურნალისტი გიორგი გაბუნიას ეს თვისებები გამოხატება მისი აზრების გამოხატავში, მაყურებლთან ინტერაქციით და ა.შ. მაყურებელსაც, გიორგი გაბუნიასგან აქვს მოსაზრებების ამგვარი ფორმით გამოხატვის მოლოდინი.

2020 წლის 17 მაისის გადაცემაში, გიორგი გაბუნიას მონოლოგი („გაბულოგი“), იყო პოლიტიკური შინაარსისა და კონტექსტის. ურნალისტს გამოყენებული აქვს მეტაფორული ენა. ის იყენებს თანამედროვე ქართულ ენაში იმვიათად გამოყენებად სიტყვას „ბერწი“, მოიხმობს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებს „კაცია-ადამიანი?!“, საუბრობს ცრუ ორსულობაზე, უნაყოფობაზე და ამბობს გავრცელებულ ფრაზას „შობე, დარეჯან, შობე“;

კომისიას მიაჩნია, რომ აღნიშნული სიტყვები, ფრაზები არ არის მიმართული კონკრეტულად ქალების შეურაცხყოფისკენ და მათ დასაკინებლად, „კაცია-ადამიანი?!-ს“ გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს მიზოგინურად [ქალთა მიმართ სიძულვილად]. ნაწარმოები გამოყენებულია იდეური თვალსაზრისით, როგორც „თათქარიძეობა“, უსაქმურობა, რომელიც უნაყოფოა და მომავალი არ გააჩნია.

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ იწყება შემდეგი სიტყვებით: „ვინც ლუარსაბის სახეში თვის-თავს იცნობს, ვინც ლუარსამზედ დაწერილს თავისთვზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწევებს და „გიურას“ დაუძახებს ამ მოთხოვობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ. „შესაბამისად, სახელიც „დარეჯანი“, ფრაზა „შობე, დარეჯან, შობე“, ცრუ ორსულობა, უნაყოფო [ბერწი] ეხება არა კონკრეტულად ქალებს, არამედ იდეას. მწერლის მიერ გადმოცემული იდეა ურნალისტმა გამოიყენა თანამედროვე ცხოვრებაში, პოლიტიკური პარტიის უნაყოფობის, უმომავლობისა და არაფრობის ხაზგასასმელად. გადაცემის წამყვანს პოლიტიკურ პროცესებთან პარალელის გავლების მიზნით, სხვა დროსაც მოუხდენია ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოებიდან ციტირება. მაგალითად, 2020 წლის 16 თებერვლის

„პოსტ ფაქტუმის“ გამოშვებაში, პოლიტიკური პროცესების ილუსტრირების მიზნით ციტირება გააკეთა ცნობილი იტალიელი კინორეჟისორის, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და საყოველთაოდ აღიარებული ხელოვანის, პიერ პაოლო პაზოლინის კინოშედევრად აღიარებული კინოფილმიდან „Salò, or the 120 Days of Sodom“. ამიტომ, შეგვიძლია დავისკვნათ, რომ წამყვანის არჩევანი, გამოიყენოს მეტაფორები და ციტირებები ნაწარმოებებიდან პოლიტიკური პროცესების აღსაწერად, არის მისი გამოხატვის ფორმა, რაც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, განსაკუთრებით კი, მაღალია პოლიტიკური სიტყვისა და გამოხატვის დაცვის ფარგლები. შესაბამისად, წამყვანის გამოხატვის ფორმა, შინაარსი და კონტექსტი არ ყოფილა განპირობებული სქესით და იგი არ არის სექსისტური, მიზოგინური, დისკრიმინაციული. მეტაფორული იყო უურნალისტის სიტყვები მშობიარობის, საკეისრო კვეთასთან დაკავშირებითაც და ანალოგიურად, პირდაპირ კავშირში პოლიტიკურ პროცესებთან, უმომავლო პარტიის მცდელობასთან, გაიხანგრძლივოს პოლიტიკური სიცოცხლე.

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ხასიათის აღსანიშნავად უურნალისტი საუბრობს [პოლიტიკურ] გაუპატიურებაზე და ასევე მოიხმობს „პოპულარულ რჩევას“ გაუპატიურებისგან სიამოვნების მიღებაზე. კომისიას მიაჩინა, რომ ვინაიდან მონოლოგი მთლიანად მეტაფორული, პოლიტიკური შინაარსისა და კონტექსტისაა, საჩივრის ავტორების მიერ სადაცოდ გამხდარი სიტყვები არ უნდა იქნეს გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით.

სიტყვა „გაუპატიურება“ გამოიყენება როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის განმსაზღვრელ ტერმინად, ისე გადატანითი მნიშვნელობით. კომისიისთვის ნათელია, რომ უურნალისტი საუბრობს პოლიტიკურ გაუპატიურებაზე და მიუთითებს პოლიტიკურ ძალმომრობასა და ზეწოლაზე. გიორგი გაბუნია არ არის პირველი, ვინც აღნიშნულ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობით იყენებს. მედიით არაერთხელ გამოყენებულა ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით და ინტერნეტ სივრცეშიც დღესაც მოიძებნება სხვადასხვა პირების განცხადებები, სადაც საჯარო კრიტიკის დროს სიტყვა „გაუპატიურება“ სახელმწიფო, პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ზეწოლის ამსახველი შინაარსითაა გადმოცემული. მაგალითად, „ჩეხებ გვჭირდება დამოუკიდებელი სასამართლო. სასამართლო ხელისუფლება გაუპატიურებულია საქართველოში. 1991-1992 წლებიდან მოყოლებული შავ დღეშია სასამართლო“ - უურნალისტი დავით აქებარდია¹; „ხელისუფლების მიერ გაუპატიურებული და ღირსება აყრილი სასამართლო“ - ასეთი შინაარსის პერფორმანსით გააპროტესტა დღეს „თავისუფალი საქართველოს“ წევრმა გოგი წულაიამ უზენაეს სასამართლოში მოსამართლების უფადოდ დანიშვნა.²

¹ <https://metronome.ge/story/228424>

² <https://formulanews.ge/News/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98 %E1%83%93%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98 %E1%83%91%E1%83%90 %E1%83%90%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98 %E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%90%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9A1%E1%83%90%E1%83%98/17300>

კომისიის სხდომაზე მხარეები შეჯერდნენ, რომ გაუპატიურება, პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, შეიძლება იყოს როგორც ქალის, ისე კაცის მიმართ. თუ განვიხილავთ სიტყვა „გაუპატიურების“ ეთერში ხსენებას, როგორც ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტის დარღვევას და მსხვერპლისთვის ხელახალი ტრავმატიზების მიზეზს, კომისიას მიაჩნია, რომ საზრუნავი ობიექტი, უნდა იყოს ნებისმიერი მსხვერპლი/გადარჩენილი, განურჩევლად სქესისა. თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, გაუპატიურების მსხვერპლები/გადარჩენილები, უმეტესად ქალები არიან. შესაბამისად, გასაზიარებელია ის პოზიცია, რომ გაუპატიურება, როგორც მძიმე დანაშაული და მატრავმირებელი ძალადობრივი ქმედება, ძირითადად ქალების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიქმება. მართალია „გაუპატიურება“ გადატანითი მნიშვნელობითა და პოლიტიკური შინაარსით იყო გაუდერებული. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არსს აქვს მაღალი სტანდარტები, მივიჩნევთ, რომ შესაძლოა „გაუპატიურების“ მოხსენიება, სხვა სადაც ფრაზებთან ერთობლიობაში, შეურაცხმყოფელად აღიქმებოდეს.

კომისიას მიაჩნია და იზიარებს დაინტერესებული პირების მოსაზრებას, რომ გაუპატიურებისაგან სიამოვნებას ადამიანი ვერ იღებს, ძალადობა ღრმა ტრავმებს ტოვებს და მონოლოგის ეს ეპიზოდი პრობლემურია. თუმცა, ეს ფრაზა არ ყოფილა განპირობებული სქესით, შესაბამისად სადაც ფორმულირება არ არის მიზანმიმართული კონკრეტული სექსისტური და გენდერული ნიშნით შეურაცხმყოფელი, არამედ ზოგადად შეურაცხმყოფელი ნებისმიერი მსხვერპლის მიმართ, განურჩევლად სქესისა თუ სხვა ნიშნისა. ამიტომ, ის შეურაცხმყოფელია როგორც ქალი, ისე კაცი მსხვერპლების მიმართ. ასევე, ზემოაღნიშნული მსგავსად, თუ ჩავთვლით, რომ გაუპატიურება მირითადად აღიქმება როგორც ქალთა მიმართ დანაშაულებრივი ქმედება, და თუ „ჩავიცვამთ“ ქალის „ფეხსაცმელს“, მივალთ დასკვნამდე, რომ მონოლოგის ეს ნაწილი იყო შეურაცხმყოფელი. აქედან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში დარღვეულია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნები.

იმ შემთხვევაში, თუ მონოლოგის თითოეულ სადაც ეპიზოდს შევხედავთ ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე, თითოეული სიტყვის პოლიტიკური შინაარსობრივი დატვირთვით, კონტექსტით და განცობიერებული იქნება მეტაფორული ფორმა, ასევე, მონოლოგის პოლიტიკური შინაარსი და კონტექსტი მთლიანობაში, კომისიის აზრით, სახეზე არ არის ქალთა სიმულვილი, დისკრიმინაციული, სექსისტური მიდგომა, ვინაიდან ჟურნალისტის მიერ გამოხატული აზრები არ არის ნაწარმოები ქალთა მიმართ სიმულვილისგან და მიმართულია მხოლოდ პოლიტიკური პროცესების აღსაწერად და შესაფასებლად. მიუხედავად ამისა, სადაც ფრაზების კუმულატიურად, ერთობლიობაში მოსმენამ, აღჭმის დონეზე, მაინც შეიძლება შექმნას შეურაცხმყოფელი ხასიათის შთაბეჭდილება მოწყვლადი კატეგორიის პირებისთვის. კომისიის აზრით, რადგან ჟურნალისტი გიორგი გაბუნია ეფექტურად სარგებლობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით, მისი არჩევანია ჰქონდეს გამოხატვის ეპატაჟური ფორმა. შესაძლოა ეპატაჟი დაკავშირებული იყოს ერთგვარ რისკთან, რომ ჟურნალისტის აზრი არასწორად იქნეს აღქმული, თუ მიწოდებული ინფორმაცია მძაფრ ემოციებს აღმრავს მაყურებელში. შესაბამისად, ჟურნალისტი მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სენსიტიურ თემებს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მაუწყებელს კორპორატიულ და სარედაქციო პოლიტიკის დონეზე დეკლარირებული აქვს ქალთა უფლებების პატივისცემა, ქალთა თემებზე გაშუქების სტანდარტის ამაღლების სურვილი და მიზანი.

გადაცემის წამყვანის მიზანს არ წარმოადგენდა მსხვერპლების, ქალების და/ან კაცების გენდერული, სქესის ნიშნით შეურაცხყოფა. კომისია ადასტურებს, რომ „პოსტ ფაქტუმი“ წარმოადგენს საავტორო გადაცემას და ერთის მხრივ, მისი წამყვანის მიერ გაკეთებული შეფასებები არ უნდა იქნას სრულად გაიგოვებული მაუწყებლის პოზიციასთან, ხოლო მეორეს მხრივ, კომისია მიიჩნევს, რომ მიუხედავად გადაცემის ფორმატისა, წამყვანი ვალდებულია არ გასცდეს მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის ჩარჩოებს ინდივიდუალური შეფასების გაკეთების შემთხვევაშიც კი.

დაინტერესებული პირები მიუთითებენ, რომ დაირღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 56-ე მუხლის პირველი პუნქტი: „აუდიტორის შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას; ამავე მუხლის მე-7 პუნქტი: დაუშვებელია სექსუალური და ნებისმიერი სხვა ძალადობის მისაღებად წარმოჩენა; ქცევის კოდექსის 31-ე მუხლი: მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე; ქცევის კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი: მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. კომისია დამატებით მიუთითებს, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც მაუწყებელს ავალდებულებს თავიდან აიცილოს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის, გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება.

კომისია აღნიშნავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს გამოყენებული უურნალისტ გიორგი გაბუნიას მხრიდან თვითცერზურისთვის. კომისია ვერ აუკრძალავს და არც თავად უურნალისტმა უნდა შეიკავოს თავი ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოების ციტირებისგან, მას აქვს თავისუფლება გამოიყენოს მეტაფორული ენა, იყოს პირდაპირი და მკაფიო, ეპატაჟური და ა.შ., ამიტომ, ამ ნაწილში, კომისია გიორგი გაბუნიას მიმართ გასცემს რეკომენდაციას: „გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან“ თანამშრომლობის ფარგლებში „გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების“ ხელმოწერის გათვალისწინებით და აღნიშნულის გათვალისწინების გარეშეც, მეტაფორული და ეპატაჟური ფორმების გამოყენებისას, უფრო ფრთხილად მოეკიდოს გენდერულად სენსიტიურ საკითხებს.

კომისია აქვე ამახვილებს ყურადღებას დაინტერესებული პირის მოთხოვნებზე:

პირველი მოთხოვნა: დადგინდეს უურნალისტ გიორგი გაბუნიას მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 56-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, 31-ე მუხლისა და 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგრნილი მოთხოვნების დარღვევა - კომისია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას მცირედი ცვლილებით, კერძოდ: სახეზე „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 56-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების და 32-ე მუხლის მე-3 პუნქტების დარღვევა. კომისია არ იზიარებს 31-ე მუხლის დარღვევას, თუმცა მიაჩნია, რომ დაირღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მეორე მოთხოვნა: მოხდეს საჩივრის განხილვა და თვითრეგულირების ორგანოში, მითითებული ნორმების დარღვევაზე მსჯელობა- მაუწყებლის პრაქტიკიდან გამომდინარე, ვინაიდან გაფართოებულია „დაინტერესებული პირის“ ცნება, აღნიშნული მოთხოვნა ავტომატურად დაკმაყოფილებულია.

მესამე მოთხოვნა: მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით, არხის თანამშრომლებისა და მოწვეული სტუმრების წინასწარი ინფორმირება ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დებულებების შესახებ. - არხის თანამშრომლების ინფორმირების ნაწილში, აღნიშნული მოთხოვნაც შეიძლება ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად, ვინაიდან „გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან“ თანამშრომლების ფარგლებში პირველ ამოცანად სწორედ არხის თანამშრომელთა გადამზადება არის გათვალისწინებული. რაც შეეხება მოთხოვნის მეორე ნაწილს, მოწვეული სტუმრების საკანონმდებლო დებულებების შესახებ წინასწარი ინფორმირების თაობაზე, ამ ნაწილში მოთხოვნა პრაქტიკაში შეუსრულებად ამოცანად მიგვაჩნია. კომისია განმარტავს, რომ ყველა სტუმარი დამოუკიდებლად არის პასუხისმგებელი საკუთარ სიტყვაზე, აზრზე, გამოხატულ დამოკიდებულებაზე. მაუწყებელი მოკლებულია შესაძლებლობას გააცნოს სტუმრებს საკანონმდებლო დებულებები ეთერის წინ. ასევე, მაუწყებელი ვერ განკვერებს და ვერ გადაწყვეტს, სელექციურად, რომელ სტუმარს ესაჭიროება აღნიშნული დებულებების გაცნობა. შესაბამისად, ყოველი ადამიანი თავად არის პასუხისმგებელი მაუწყებლის ეთერში გაკეთებულ განცხადებაზე. სხვა პირის მიერ, ე.ი იდენტიფიცირებულ წყაროსგან გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა მედიაში სხვა პირების მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელების საკითხი. Jarsild-ისა (Jarsild v. Denmark, 1994წ.) და Thoma-ს (Thoma v. Luxembourg, 2001წ.) ამ საქმეებზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ”ჟურნალისტის დასჯა სხვა პირის მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელებაში დახმარებისათვის ... სერიოზულად დააბრკოლებდა პრესას ... და არ უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ არ არსებობს განსაკუთრებით ცალსახა მიზზები ამისათვის“. შესაბამისად, დაუშვებელია ჟურნალისტის/მაუწყებლის პასუხისმგებლობის დაყენება წყაროზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის გამო.

სხდომაზე განხილული საკითხები

2020 წლის 29 მაისს, თვითრეგულირების ორგანოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად. საჩივრის ავტორს, მაია გელაშვილს და იურისტ თამარ კაპანაძეს, მიეცათ შესაძლებლობა ესაუბრათ საჩივარზე, შეევსოთ საჩივარი დამატებითი არგუმენტებით. საკითხის დეტალურად განხილვის მიზნით, სხდომაზე მხარეთა შორის დაისვა დამატებითი კითხვები:

მაია გელაშვილმა შეავსო საჩივარი დამატებითი ინფორმაციით. მან აღნიშნა, რომ გიორგი გაბუნიას ეთერში გაუდერებული ინფორმაცია დამაზიანებელი იყო, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საზოგადოებაში ისედაც დანერგილია სტერეოტოპები ქალებთან დაკავშირებით. მაგალითად, ძალადობაზე, თითქოს ძალადობა შეიძლება ქალის მიერ არის მაპროვოცირებული („მოკლე კაბა ეცვა“, „ნელოდა და ლამე ქუჩაში გაიარა“ და ა.შ.). პანდემიის ფონზე, გაზრდილია სტატისტიკაც და ეს პრობლემა მსოფლიოშია. კორონა ვირუსის, საგანგებო მდგომარეობის დროს, არის ქალთა მიმართ ძალადობის ზრდის ტენდენცია. ძალადობა, გლობალურად, ერთი მესამედით არის გაზრდილი, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებშიც (საფრანგეთი, გერმანია, სინგაპური, აშშ, ბრიტანეთი და ა.შ.). ამ კრიზისულ პერიოდში, მსხვერპლს შეიძლება უწევდეს მოძალადესთან ერთად ცხოვრება, ფიზიკურად ვერ მოახერხოს სამართალდამცავ თრგანოებთან დარეკვა, ამას ემატება ეკონომიკური მდგომაროება და ა.შ. მაია გელაშვილმა აღნიშნა, რომ „მთავარი არხი“ არის ერთ-ერთი წამყვანი არხი, სადაც ვიდეოს აქც 70.000-ზე მეტი ნახვა, „მთავარის“ გვერდს

ჰყავს ნახევარ მილიონზე მეტი გამომწერი და ე.წ „ლაიქერი“. არხის პასუხისმგებლობაა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რომ არ გაძლიერდეს სტიგმა. მაია გელაშვილმა მიუთითა, რომ ტელეკომპანია „მთავარმა“ ხელი მოაწერა „გაეროს“ პრინციპებს და აღმათ არხს აქვს სურვილი, რომ გამლიეროს უფლებების დაცვა. მისი აზრით, გიორგი გაბუნიას გადაცემაში ნათევამი წინადადებები იყო მიზოგინური, ქალთმომულე. საჩივრის ავტორი იაზრებს, რომ ეს ფრაზები მეტაფორულია, მაგრამ მისი აზრით, ეს არაფერს ცვლის, რადგან მთავარი შინაარსია. გაუღირებული ფრაზები ტრივიალურს ხდის ძალადობას, რომ სიამოვნებაც კი შეიძლება მივიღოთ და ამას შეიძლება უსმენდნენ მსხვერპლები, რითაც შესაძლოა მათი რეტრავერიზაცია ხდებოდეს.

მაია გელაშვილმა მიუთითა, რომ ფრაზა: „მერწეს რაც არ უნდა ეძახო, „შობე, დარუჯან, შობე“, ის ვერ დაფუძმიბდება“ და „ქართულ ოცნებას“ ცრუ ორსულა ჭირს“, მეტაფორულია, მაგრამ შესაძლოა ეს შეურაცხყოფას აყენებდეს უშვილო ქალებს და ამიტომ, ეს წინადადება დისკრიმინაციულია ასეთი უშვილო ქალების მიმართ. პრობლემას არ წარმოადგენს თავად ტერმინი „უშვილო“, არამედ დამოკიდებულება და ეს სიტყვები ქალის გენდერულ მსხვერპლად წარმოჩინებაა. უურნალისტური ეთიკის მე-7 პრინციპის თანახმად, უურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მეირ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე, ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის ასაცილებლად (რასის, სქესის და ა.შ ნიშნით) აյ კი, უურნალისტმა მთელი ძალისხმევა მიმართა, რომ დისკრიმინაცია მოეხდინა სწორედ ქალების და უშუალოდ უშვილო ქალების, განსაკუთრებით კი, გაუპატიურების მსხვერპლი ქალების მიმართ. მაია გელაშვილმა მოიხმო „გაეროს“ და „საქ.სტატის“ სტატისტიკა, რომლის მიხედვით, საქართველოში ყოველი შვიდი ქალიდან ერთი ძალადობის მსხვერპლია. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ თავადაც ქალია და გიორგი გაბუნიას სიტყვები მისთვისაც შეურაცხმყოფელი იყო.

თამარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ მას ესმის რეიტინგული, წამყვანი ტელევიზიის და რეგიონში „გაეროს ქალთა გამლიერების პრინციპების“ ხელმომწერი ორგანიზაციის, „პრაიმ ტაიმის“ წამყვანი უურნალისტის წინააღმდეგ საჩივარი შესაძლოა რთულად იქნეს აღქშული, თუმცა ის მოხარულია, რომ „მთავარ არხს“ აქვს მეტანობელობა. მისი აზრით, შესაძლოა, ეს ეთერში არ გამოიხატება ხოლმე [თუ დიდ სურათებს შევხედავთ], მაგრამ ეთერს მიღმა, გამოცდილება, თუნდაც თვითრეგულირებაში გამოცდილებით, ეს გენდერული მეტანობელობა იგრძნობა.

ნიკა გვარამიამ აღნიშნა, რომ არხისთვის რეაგირება არ არის რთული. მათ შორის, თავად ნიკა გვარამიას წინააღმდეგაც ყოფილა გადაწყვეტილებები მიღებული. ეთერში არის შეცდომები, მაგრამ ეს არ არის განზრახი, არამედ ცოდნის, ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

თამარ კაპანაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისთვის აბსოლუტურად გასაგებია ეპატაჟის დონეც და გადაცემის ფორმატიც, მეორეს მხრივ კი მედიის ძალიან დიდი როლი და გავლენა სოციურის ჩამოყალიბებაში კონკრეტული პოლიტიკების მიმართ და ეს შეიძლება იყოს სწორედ ქალთა საკითხები. მან გაამახვილა ყურადღება, რომ ეს არ არის მხოლოდ გიორგი გაბუნიას შემთხვევა, ეს არის ძალინ დიდი სურათი, დაწყებული თამთა თოდაძის პირდაპირ ეთერში დაკითხვიდან დასრულებული ნელი დოროფაშვილისა და ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმით.

ნიკა გვარამიამ აღნიშნა, რომ თამთა თოდაძის საქმეზე მან მიიღო საწევია. ის სადაც კითხვა, მან ნამდვილად კითხა მხოლოდ საგამოძიებო ტექნიკის კუთხით და მას ამსოლუტურად არ აინტერესებდა და საერთოდ არ მიაჩნია, რომ ადამიანი თუ „გამომწვევად“ ჩატულია, ის უნდა გაუპატიურო. მას ვიქტოროლოგიურ მომენტზე არ ჰქონდა ყურადღება გამახვილებული, არამედ აინტერესებდა მხოლოდ საგამოძიებო პრაქტიკის კუთხით [კაბა ეცვა თუ შარვალი], ვინაიდან გაუპატიურების საქმეების გამოძიების დროს, გამომძიებელი ამ კითხვას ყოველთვის სკამს, ე.ი მარტივია თუ არა დანაშაულის ჩამდებისთვის იმ ქმედების განხორციელება, რომელიც დაგვეგმილი ჰქონდა. ნიკა გვარამიამ აღნიშნა, რომ ის არ იყო ინფორმირებული, რომ ამ კითხვის დასმა არ შეიძლებოდა, ამიტომ მან მიიღო საყვედური და ის აღარ დასვამს ამ შეკითხვას.

მხარეებმა სხდომაზე იმსჯელეს სადაც სიტყვაზე - „ბერწი“.

ნიკა გვარამიას მიერ დასმულ იქნა შეკითხვა - არის თუ არა სიტყვა „ბერწი“ ბრუნვიდან ამოღებული და დაუშვებელია თუ არა მისი გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში.

მაია გელაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის ქართული სიტყვა და ხშირ შემთხვევაში ამას ცხოველების მიმართ იყენებენ ხოლმე. თეონა ჩემია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და განმარტა, რომ ეს არის ძველი ქართული სიტყვა და სახარებაში და სხვა რელიგიურ ნაწარმოებებში „ბერწი“ ქალთან მიმართებაში არის გამოყენებული. ეს მოსაზრება გაიზიარა ნიკა გვარამიამაც და აღნიშნა, რომ სიტყვა „ბერწი“ იხმარება ქალთან მიმართებაში და ნიშნავს „უნაყოფოს“. სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, იქვე დაისვა მომდევნო კითხვა [საჩივრის ავტორის მიმართ], თანამედროვე სტანდარტით, დაუშვებელია თუ არა სიტყვა „უნაყოფოს“ გამოყენება ნებისმიერ კონტექსტში?

მაია გელაშვილმა განმარტა, რომ კონტექსტს აქვს მნიშვნელობა. სწორედ ამ შემთხვევაში აძლიერებს აქ ქალთა მიმართ „უშვილობის“, „ბერწობის“ მომენტს. არა დისკრიმინაციულობის კუთხით, არმედ თუ როგორი აღქმადობა ექნება საზოგადოებას. მაია გელაშვილმა, როგორც ქალმა, ეს სიტყვა შეურაცხმყოფელად მიიჩნია. მან მიუთითა, რომ თუ პირობითად, გამოყენებული იქნებოდა ტერმინები, „უშვილო“, „უნაყოფო ქალი“, ეს გასაგები იქნებოდა. მაგრამ „უშვილო“, ბერწი“, „შობე, დარუჯან, შობე“-ზე საუბრისას, მნიშვნელოვანია კონტექსტი და აქ დამძიმებულია გარემოება.

ნიკა გვარამიამ დასვა შეკითხვა, დაინტერესებულმა პირებმა, როგორც ქალებმა, რა მიიღეს პერსონალურ თავდასხმად, შეურაცხყოფად. თამარ კაპანაძემ განმარტა, რომ ქალები, გაუპატიურების არცერთი შემთხვევისგან, არასდროს, არ იღებენ სიამოვნებას. ეს არის ყველაზე ძალადობრივი, ყველაზე დამაკინებელი აქტი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ადამიანის წინააღმდეგ.

ნიკა გვარამიას კითხვაზე, გაუპატიურება ყოველთვის უკავშირდება თუ არა ქალს, როგორც მსხვერპლს, თამარ კაპანაძემ განმარტა, რომ გაუპატიურების მსხვერპლი, შეიძლება იყოს კაციც. თუმცა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ დიდი უმრავლესობა, ანუ გაუპატიურების მსხვერპლი, ხდება ქალი. მაგრამ, როდესაც გაუპატიურების მსხვერპლი ხდება კაცი, გაუპატიურება ასევე კაცის მხრიდან ხდება. თამარ კაპანაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქალები გაუპატიურებისას არ იღებენ სიამოვნებას და სწორედ ეს იყო შეურაცხმყოფელი და ის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, საზოგადოების დიდი ნაწილი ცხოვრობს.

სხდომაზე დაზუსტდა წამყვანის ციტატა: „პოპულარული რჩევა გაითვალისწინეს და რომ ბედავენ რომ გაუპატიურება გარდაუვალია, მოქმედება, პროცესისაგან სიამოვნებას იღებენ. არ იდარღოთ, მთავარი გაუპატიურება წინ არის“.

ნიკა გვარამიამ დასვა შეკითხვა, დაინტერესებული პირების აზრით, რატომ იყო ნათქვამი ციტატაში: „პოპულარული რჩევა“. თამარ კაპანაძემ განმარტა, რომ ეს სიტყვები სწორედ იმ სტერეოტიპების გაგრძელებაა. იმ პოპულალური რჩევის არსებობაც და გიორგი გაბუნიას მიერ ხალხის ამრჩევის მიხედვით დამოძლვრაც, რომელიც არსებობს, რომ გაუპატიურების შემთხვევაში, რაღაც დაშვების დონეზეც კი, შეიძლება ქალი სიამოვნებას იღებდეს. დაინტერესებულმა პირმა განმარტა, რომ გაუპატიურებისგან სიამოვნების მიღება არის შეუძლებელი.

ნიკა გვარამია დაეთანხმა დაინტერესებულ პირების აზრს, რომ გაუპატიურებისგან ადამიანი ვერ დებულობს სიამოვნებას. მან ასევე მიუთითა, ძველ ანეკდოტზე, სადაც ნათქვამია, რომ თუ გაუპატიურებენ და თუ ვერ უწევ წინააღმდეგობას, მიიღე სიამოვნება. შესაბამისად, ეს „პოპულარული რჩევა“ იყო მინიშნება სწორედ ძველ ანეკდოტზე და არა იმაზე, რომ ქალები იღებენ სიამოვნებას გაუპატიურებისგან. ნიკა გვარამიამ აქვე დასვა შეკითხვა გამოყენებული სიტყვა „გაუპატიურების“ კონტექსტზე და ასევე, დაუშვებელია თუ არა ზოგადად ამ სიტყვის გამოყენება, როგორც მეტაფორის, და როდის შეიძლება ის გამოიყენოს ჟურნალისტმა.

თამარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ როდესაც ეს ანეკდოტი იყო პოპულარული, მას შემდეგ სამყაროში ბევრი რამ შეიცვალა და მისი აზრით, პირდაპირი ეთერიდან არ უნდა ყოფილიყო გაუღლერებული, როგორც რჩევა პოლიტიკური ოპონენტის, პოლიტიკური სუბიექტის დასავანინებლად. თამარ კაპანაძის აზრით, გიორგი გაბუნიას ნიჭი გასწოდებოდა ნაკლებად მიზოგინური და სტერეოტიპების გამამბაფრებელი ფრაზების გარეშე იმ აზრის გამოხატვას, რომლის გამოხატვასაც ის „გაბულოგის“ მანმილზე ცდილობდა. გამოსაყენებელ კონტექსტთან დაკავშირებით თამარ კაპანაძემ მიუთითა, რომ ჟურნალისტმა არ უნდა გამოიყენოს სიტყვა „გაუპატიურება“ იმ კონტექსტში, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ისედაც საკმაოდ გავრცელებულ აზრს, განსაკუთრებით პატრიარქალურ საზოგადოებაში, რომლის მთავარი ქვაკუთხედი, ალბათ, არის ქალების სექსუალობის კონტროლი; არ უნდა შეუწყოს ხელი იმის გამაფრებას, რომ ქალს კაბა ეცვა თუ შარვალი, შეიძლება ახდენდეს გავლენას, გამომწვევ ფოტოებს თუ „პოსტავდა“ ქალი სოციალურ ქსელში, ამის გამო შეიძლება ქმარმა, ან ყოფილმა ქმარმა, იძალადოს ქალზე, და ასევე იმას, რომ შეიძლება სიამოვნებას იღებდეს ქალი ყველაზე ძალმომრეობითი სექსუალური ხასიათის დანაშაულისგან.

ნიკა გვარამიამ დასვა შეკითხვა, „გაუპატიურებით სიამოვნების მიღებისას“ ჰყავდა თუ არა ჟურნალისტს ნახსენები ქალი?

თამარ კაპანაძემ განმარტა, რომ ის უშვებს, რომ შესაძლოა კაციც მოიაზრებოდეს. ვინც არ უნდა ეგულისხმა ჟურნალისტს, ქალი, კაცი თუ არაბინალური ადამიანი, ეს ფრაზა ყველასთვის იქნებოდა შეურაცხმყოფელი. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი იყო აგებული სწორედ ქალებზე, ვინაიდან ეს ნარატივი საზოგადოებაში ასე არის აღქმული და აღქმითი კონტაციით იქნებოდა.

თამთა მურადაშვილმა დასვა შეკითხვა „გაბულოგის“ აღქმადობასთან დაკავშირებით, იყო ეს დაინტერესებული პირის მხრიდან გაგებული როგორც მკაფიოდ დისკრიმინაციული, თუ როგორც პოლიტიკური შინაარსის და კონტექსტის მქონე სიტყვები?

მაია გელაშვილმა განმარტა, რომ მისთვის ნათელია, რომ ეს იყო მეტაფორული ენა. მიუხედავად ამისა, ფორმას და შინაარს არ აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც შინაარსი არის ზუსტად დისკრიმინაციული და სექსისტური. კონტექსტი აუბრალოებს და ტრივიალურს ხდის გაუპატიურების თემას, რომ ქალმა შეიძლება გაუპატიურებისგან სიამოვნება მიიღოს და უნდა მოდუნდეს.

სხდომაზე დამსწრები შეთანხმდნენ, რომ სადავო სიტყვა იყო მეტაფორული. თამთა მურადაშვილმა აღნიშნა, რომ სადავო ფრაზების შინაარსი და კონტექსტი იყო პოლიტიკური და საუბარი არ იყო პირდაპირ გაუპატიურებაზე და ძალადობაზე. თამთა მურადაშვილმა განმარტა, რომ მეტაფორა გულისხმობს, რომ მეტაფორა რაღაც აზრის მეტაფორული გამოხატვისთვისა შერჩეული, ე.ი გამოხატვის ფორმა არის მეტაფორული. მეტაფორის არსი ის არის, რომ ის უნდა იყოს მეტაფორული და ამიტომ ჰქვია „მეტაფორა“, ე.ი ის მეტაფორაა და არ უნდა იქნეს გაგებული პირდაპირ. შესაბამისად, გიორგი გაბუნიას მიერ შერჩეული სიტყვები იყო მეტაფორული, პოლიტიკური შინაარსის და კონტექსტის. დაინტერესებული პირის მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სიტყვა „გაუპატიურების“ შინაარსის პრობლემურობასა და დისკრიმინაციულობას, საკითხის დაზუსტების მიზნით, თამთა მურადაშვილმა დასვა შეკითხვა, აქცევდა თუ არა დაინტერესებული პირი ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ეს მეტაფორული გამოხატვა და კონკრეტული სიტყვა, იყო პოლიტიკური შინაარსის.

აღნიშნულ შეკითხვაზე მაია გელაშვილმა განმარტა, რომ მისთვის გასაგებია პოლიტიკური შინაარსი. თუმცა, მისი აზრით, სიტყვა „გაუპატიურება“, როგორც ტერმინი, ისეთ კონტექსტში იყო გამოყენებული, რომ ის კარგავდა თავის შინაარსობრივ მნიშვნელობას, პოლიტიკური მიზნით იყო გამოყენებული, საზოგადოებრივი, თუ სხვა მიზნით, ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, იმდენად დისკრიმინაციული და იმდენად სექსისტური იყო ეს გამოთქმა.

შესაბამისად ასევე დააფიქსირა აზრი საპასუხო შეკითხვით, რომ თუ ადამიანმა ტელევიზორის ჩართვისას გაიგონა სიტყვები „როგორ მივიღოთ სიამოვნება გაუპატიურებისაგან და როგორ მოვდუნდეთ“ და არ მოუსმენია წინმსწრები სიტყვები, მაშინ მაყურებელმა აუცილებლად უნდა გადაახვიოს თუ არა გადაცემა, რომ გაიგოს ამ სიტყვების კონტექსტი?

აღნიშნულ შეკითხვაზე თამთა მურადაშვილმა განმარტა, რომ თუნდაც უწყინარი ფრაზა/სიტყვა, რომელიც ისე მძაფრად არ ჟღერს, როგორც „გაუპატიურება“, შეიძლება ნეგატიურ კონტექსტში იყოს მოხსენიებული და შეურაცხმყოფელი იყოს. ამასთან, სიტყვა „გაუპატიურება“, რომელიც შეიძლება მძაფრ ემოციებს იწვევს, იყოს პოლიტიკურ კონტექსტში და შინაარსით ნათქვამი. ამიტომ, თითოეული ფრაზა უნდა იყოს აღქმული კონტექსტში. შესაბამისად, თუ ამისთვის გადახვევაა საჭირო, მაყურებელმა უნდა გადაახვიოს გადაცემა, რომ სრულად აღიქვას კონტექსტი [და არა ცალკეული სიტყვები კონტექსტიდან ამოგლეჯილად].

ამ საკითხზე თამარ კაპანაძემ განმარტა, რომ პოლიტიკური სიცუდისა და დაკნინების გამოსახატავად და ხაზგასასმელად, უურნალისტმა გაუპატიურების მეტაფორა მოიყვანა. მისი აზრით, ნაივურია დავა იმაზე, როდესაც „პრაიმ ტაიში“, ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ტელევიზიის რეიტინგული „შოუმენი“, აუდირებს მიზოგინურ ფრაზას, როგორ კონტექსტში გააყდერა. ეს არ არის ეთიკური ჟურნალისტისთვის.

თამთა მურადაშვილმა საკითხის დაზუსტების მიზნით, მოიხმო მაია გელაშვილის მითითება სექსისტურობასთან დაკავშირებით და თამარ კაპანაძის არგუმენტი, პოლიტიკური სიცუდის ან პოლიტიკური დაპირისპირების გამოსახატად მიზოგინური ფორმის შერჩევაზე. თამთა მურადაშვილმა დასვა კითხვა, რომ თუ გაუპატიურება ავტომატურად მიზოგინური [ქალთა მიმართ სიტულვილი] არა და ვთანხმდებით, რომ შეიძლება კაციც. ბიჭიც იყოს მსხვერპლი და სიტყვა „გაუპატიურება“ შეიძლება იყოს გენდერულად წეიტრალური, და ამასთან ერთად ვამბობთ, რომ ეს სიტყვა პოლიტიკური სიცუდის გამოსახატად შეირჩა, რატომ არის ჟურნალისტის მიერ გამოყენებული სიტყვა „გაუპატიურება“ ავტომატურად მიზოგინური? გასაგებია, რომ სტატისტიკურად უფრო ხშირად ქალები არიან მსხვერპლი, მაგრამ, მანც, რატომ არის პოლიტიკური სიცუდის გამოსახატად შერჩეული, ეს, პირობითად, ცუდი სიტყვა, „გაუპატიურება“ ავტომატურად მიზოგინური?

მაია გელაშვილმა მიუთითა ადამიანურ დამოკიდებულებაზე და პირადად მის ასოციაციებზე, როდესაც ჟურნალისტმა ახსენა უშვილობა, „ბერწი“. ამ საკითხზე, თამთა მურადაშვილმა აღნიშნა, რომ უშვილოები კაცებიც შეიძლება იყვნენ. მაია გელაშვილმა გაიხსენა ასევე ფრაზები ცრუ ორსულობაზე, ფეხმძიმობაზე, საკეისროზე, რის გამოც, მისი, როგორც ადამიანის ასოციაციები სწორად ქალებისკენ წავიდა, ვინაიდან ეს თემები ძირითადად ქალებს ეხებათ. კაციც შეიძლება იყოს გაუპატიურების, ძალადობის მსხვერპლი და უშვილო, მაგრამ კაცს ცრუ ორსულობა ვერ ექნება. აღნიშნულ საკითხზე თამთა მურადაშვილმაც აღნიშნა, რომ ფეხმძიმობა და მშობიარობა მხოლოდ ქალის გამოცდილებაა.

თამარ კაპანაძის აზრით, სადაც შემთხვევაში, გიორგი გაბურიას არ გამოუყენებია გენდერულად წეიტრალური ენა, ვინაიდან მან უშვილო ქალის მსგავსებაზე ისაუბრა და ახსენა ფრაზა „შობე, დარეჯან, შობე“, რაც ისტორიულად ქალთან ასოცირდება ხოლმე.

თეონა ჩემიამ დააფიქსირა საკუთარი აზრი „შობე, დარეჯან, შობე“ ფრაზასთან დაკავშირებით: აღნიშნული ფრაზა არის ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებიდან „კაცია-ადამიანი?!“. ეს პერსონაჟები, დარეჯანი და ლუარსაბი ჭამა-სმის და ძილის მეტს არაფერს აკეთებდნენ. სწორედ ამიტომ არ გააჩინია ილია ჭავჭავაძემ ნაწარმოებში დარეჯანს შვილი და ეს უსაქმურობა დატოვა შთამომვალობის გარეშე. ავტორმა სწორედ ეს აზრი ჩადო ფრაზაში „შობე, დარეჯან, შობე“. ეს არის გამოთქმა, რომელიც დამკვიდრებულიც არის. მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძემ „კაცია-ადამიანი?!“ დაუტოვა ხალხს, სახელს „ლუარსაბზაც“ კი არ არქევდნენ ბავშვებს. ილია ჭავჭავაძემ შექმნა ისეთი პერსონაჟები, რომ მათ შთამომავალი, შვილიც არ დაუტოვა. გამოთქმა „შობე, დარეჯან, შობეც“ სწორედ ამის მიმანიშნებელია, რომ უშვილოდ, უმომავლობად არის ეს უსაქმურობა შეფასებული და რასაც პოლიტიკური პარტია [ქართული ოცნება] ქმნის, დარჩება უმომავლოდ. „და რაც უნდა ეძახო „შობე, დარეჯან, შობე“ - არის მეტაფორული. შესაძლოა სადაც იყოს, არის თუ არა მეტაფორა კარგად შერჩეული, შეიძლებოდა თუ არა უფრო წეიტრალურის შერჩევა, რომ ასეთი დისკუსია არ გამოეწვია. მაგრამ, ამ ტერმინის გაგება, როგორც კონკრეტულად ქალების მიმართ მიმართვა, არასწორია. „შობე, დარეჯან, შობე“, ლიტერატურული გამოთქმაა, რითაც

ილია ჭავჭავაძემ გვითხრა, რომ დარეჯანს, ცრუ თრსულობა აქვს, მწერალმა არ გააჩენინა შვილი იმ ქალს, რომელიც უნაყოფობის სიმბოლო იყო. ეს არის იდეა.

სიტყვა „ბერწთან“ დაკავშირებით, თეონა ჩემიამ განმარტა, რომ თუ საძიებო სისტემაში „google“, მოვძებნით ამ სიტყვას, შეიძლება ცხოველებთან დაკავშირებითაც იყოს ნახსენები. მაგრამ, თუ ვნახავთ ლიტერატურას, ძველ ქართულ ლიტერატურას ან სახარებას, „ბერწი“ ყველაზე ნახსენებია როგორც უნაყოფო ქალი. ამიტომ, რამდენად არის სიტყვა „ბერწი“ შეურაცხმყოფელი, სადაცომა.

თეონა ჩემიამ გაამახვილა ყურადღება ასევე მაია გელაშვილის მიერ მოხმობილ გლობალურ სტატისტიკაზე. აღნიშნა, რომ არხი ფლობს ამ ინფორმაციას და სწორედ ამ საგანგაშო სტატისტიკისგან გამომდინარე შეემნა არხმა სოციალურ რგოლი, რომელიც „მთავარმა არხმა“ დაამზადა და განათავსა ეთერში ქალთა ძალადობის მსხვერპლი/გადარჩენილი ქალებისთვის. აღნიშნული რგოლი არხის მიერ დაამზადდა „გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების“ ხელმოწერამდე და COVID-19-ის პირობებში, სწორედ კრიზისული პერიოდის დროს გაზრდილი სტატისტიკის გამო.

მაია გელაშვილმა აღნიშნა, რომ მას არ მიაჩნია სწორად, თუ ქალზე ვინმე იტყვის, რომ ის გამოიწვია.

ნიკა გვარამიამ დასვა კითხვა, დაინტერესებული პირების აზრით, დასაშვები იქნებოდა თუ არა, რომ ჟურნალისტის მიერ გამოყენებული იყოს სიტყვები: „კოჭლი არგუმენტი“, „ბრმა ტყვია“, „უშნო“, „მახინჯი“.

თამარ კაბანაძის აზრით, აღნიშნული შეკითხვა კარგი და სწორი იყო, თუმცა, სცდებოდა მთავარ სასაუბრო თემას.

ნიკა გვარამიამ დააზუსტა, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი იყო, ვინაიდან სხდომაზე მსჯელობა მიდიოდა სწორედ სიტყვა „ბერწის“ მიმართულებით. იქვე დასვა კითხვა, ჟურნალისტის მიერ სიტყვა „ბერწი“, ადამიანის მიმართ იყო გამოყენებული თუ სისტემის მიმართ. მაია გელაშვილის აზრით, ეს სიტყვა ადამიანის მიმართ იყო გამოყენებული და მოიყვანა ციტირება: „ბერწი ადამიანის დაფეხმიტება შეუძლებელია. რამდენიც არ უნდა უმახო „შობე, დარეჯან, შობე“...“. აღნიშნულს არ დაეთანხმა ნიკა გვარამია და თეონა ჩემია, ვინაიდან მათი აზრით, აქ სიტყვა „ადამიანი“ განზოგადებულად არის მოხსენიებული და არ არის შეურაცხმყოფელი ადამიანის მიმართ [არამედ სისტემის მიმართ] და ამასთან, ახსნილია სიტყვა „ბერწის“ მნიშვნელობა.

ნიკა გვარამიამ აღნიშნა, რომ იმ ქალებისთვის, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ, რეტრავმირება, ტრავმის გაცოცხლება მოხდება ყოველთვის, როდესაც უშვილობაზე, უნაყოფობაზე იქნება საუბარი. ეს მოცემულობაა და ამას ვერ შევცვლით. მისი აზრით, ტელევიზია არ არის სტერილიზაციონი, ინკუბაციონი, ტელევიზია არ არის ადგილი, სადაც სტერილური გარემოა, ტელევიზია არის ცოცხალი პროცესი. რამდენჯერაც გაუდერდება სიტყვა „უნაყოფო“, ქალი ყოველთვის ჩავარდება ცუდ მდგომარეობაში. დაინტერესებულ პირებთან კითხვა კი იყო შემდეგი: სადაცო სიტყვის გამოყენებით, მოახდინა თუ არა არხმა პედალირება მტკიცნეულ საკითხზე და ძალით ატკინა თუ არა არხმა/ჟურნალისტმა იმ ქალებს, ვისაც არ ჰყავთ შვილები.

თამარ კაპანაძის აზრით, გიორგი გაბუნიას ძალით გულის ტკენა არავისთვის უნდოდა და არც იმაშია დაწმუნებული, რომ „ქართულ ოცნებას“ გული ეტკინა. მისი აზრით, ასეთი „ძალით“ განზრახვა არ ხდება პირდაპირ ეთერში და ამიტომ არის ეს რეფლექსია საჭირო პოსტ ფაქტუმ, და დაფიქრება იმაზე, რა შეიძლება გავეთდეს უკეთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სწორედ „მთავარი არხი“ პედალირებს და არის გამორჩეული ქალთა საკითხების მიმართ და დაინტერესებულია ქალთა საკითხების სენსიტიური გაშუქებით. თამარ კაპანაძის აზრით, სადაც გადაცემა და სხვა რამდენიმე შემთხვევა, არ შეესაბამება იმ სტანდარტს, რომლისკენაც არხი მიიღწვის და აწესებს. დაინტერესებული პირის აზრით, გიორგი გაბუნიას ძალით გულის ტკენა არავისთვის უნდოდა, მათ შორის არც ბერწი ქალების და გაუპატიურების მსხვერპლი ქალებისა და კაცების. თუმცა, მისი აზრით, თუ დავინახავთ უფრო დიდ სურათს და გავცდებით ამ პოლიტიკურ კონტაციებს, დავინახავთ, რომ პირდაპირ ეთერში გაჟღერდა შეურაცხმყოფელი ენა, არაეთიკური, ურნალისტიური ეთიკის პრინციპებისთვის შეუსაბამო და შეიძლებოდა უფრო ნეიტრალური ენის მოძებნა, რომლითაც ამსოლუტურად მკვეთრად და მკაფიოდ გადმოიცემოდა, რატომ იყო და რატომ არის „ქართული ოცნება“ ცუდი პოლიტიკური პარტია.

მაია გელაშვილი დაუბრუნდა „შობე, დარეჯან, შობე“-ს საკითხს. მან აღნიშნა, რომ შესაძლოა ფრაზა „კაცია-ადამიანი?!“-დან არის, მაგრამ ამ შემთხვევაში, კონტექსტი იყო სხვა. მან მიუთითა, რომ ფრაზაში „სუმდენიც არ უნდა ემახო, „შობე, დარეჯან, შობე“- შეიძლება აქ „დარეჯანი“, ქალის სახელად იყოს გაგებული და არის კიდევაც ქალის სახელად მოხსენიებული და საერთოდ სხვა კონტექსტშია გამოყენებული, ამიტომ ვერ მივხვდებით „კაცია-ადამიანიდან?!“ არის ეს ფრაზა აღებული თუ არა.

ნიკა გვარამია და თეონა ჩემია არ დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას და აღნიშნეს, რომ მსგავსი აღქმა არხის მაყურებელზე დაბალ წარმოდგენას ნიშნავს.

მაია გელაშვილმა დააზუსტა, რომ ის არ საუბრობდა საკუთრ წარმოდგენაზე, არამედ იმაზე, თუ რა ჩადო უურნალისტმა ამ ფრაზაში და რა შეიძლება იყოს დანახული. გარდა იმისა, რომ, კაცია-ადამიანი?!-დან „აღებული ფრაზაა, არის მეორე ვერსია, რომ უურნალისტი ზუსტად ქალის სახელს ახსენებს და არსად არის ნახსენები, რომ ეს „კაცია-ადამიანიდან?!“ აღებული ფრაზაა.

თამთა მურადაშვილი არ დაეთანხმა დაინტერესებული პირის ამ მოსაზრებას და მიუთითა ლიტერატურიდან, პოეზიიდან, კინოფილმებიდან, სპექტაკლებიდან და ა.შ. ციტირების მოყვანის შესაძლებლობაზე და მნიშვნელობაზე. მისი აზრით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც, რადგან ლიტერატურული ნაწარმოებიდან იყო ციტირება და მწერლის სიტყვებია [„დარეჯან“], არ ნიშნავს, რომ კონკრეტულად ქალზე იყო საუბარი.

თამარ კაპანაძის აზრით, სასიხარულოა, რომ გიორგი გაბუნიას შეუძლია ალუზიების მოძებნა ლიტერატურული ნაწარმოებიდან. ამასთან, მისი აზრით, ეს არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ უურნალისტის მთლიანი მონოლოგი და განსაკუთრებით კონკრეტული პრობლემური ნაწილები, რომელიც საჩივარშია მითითებული, იყო არაეთიკური და არღვევდა სტანდარტებს. თამარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ ის მოხარულია იმ ფაქტით, რომ გიორგი გაბუნიამ შეარჩია ასეთი საინტერესო ლიტერატურული ფრაზა და დაეთანხმა თეონა ჩემიას, რომ ეს ფრაზა ნამდვილად გავრცელებულია.

თამთა მურადაშვილმა აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირის საჩივარში მოცემული არგუმენტები „მედია ჩეკერში“ დაწერილი სტატიის³ ანალოგიურია. ამ სტატიაში და საჩივარშიც, ხაზგასმული იყო ასევე, რომ „მთავარი არხი“, „გაეროს ქალთა გაძლიერიების პრინციპების“ ხელმომწერი ორგანიზაცია გახდა. მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლახანს მოწერა ხელი, არხს უკვე ბევრჯერ შეახსენს ამ ხელმოწერის შესახებ. განმარტების სახით აღინიშნა, რომ „მთავარი არხი“ სწორედ იმიტომ გახდა ამ პრინციპების ხელმომწერი ორგანიზაცია, რომ ის სტანდარტები და მიდგომები, რომელიც ადრე იყო მედიაში, იცვლება. არხმაც სწორედ იმიტომ მიმართა „გაეროს ქალთა ორგანიზაციას“, რომ მედიის თანამშრომლებმა მიიღონ ინფორმაცია ამ სტანდარტების შესახებ, ისწავლონ და აიმაღლონ ცოდნა. როდესაც „მთავარმა არხმა“ მოაწერა ხელი „გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს“, არავის, მათ შორის არც „გაეროს ქალთა ორგანიზაციას“, არ ჰქონია ილუზორული წარმოდგენა, რომ ერთ დღეში სასწაულებრივად მოხდებოდა სტანდარტების ამიღლება. საზოგადოების, მათ შორის „მედია ჩეკერის“ მხრიდან და წარმოდგენილ საჩივარშიც „გაეროს ქალთა ორგანიზაციაზე“ მუდმივი შეხსენება, ერთგვარი ირონიითაც კი, შეიძლება დემოტივატორი იყოს. „მთავარი არხი“ მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი საქმეები ადვილად არ კეთდება. იმიტომ შეირჩა ეს გზა და მივმართეთ „გაეროს“ რომ მოხდეს სწავლება, შეცდომების გამოსწორება და ვიყოთ სამაგალითოები. არხი მიესალმება დაინტერესებული პირის საჩივარს, რადგან არხს მიაჩნია, რომ კრიტიკა, მხოლოდ სიჯანსაღეს უწყობს ხელს და დაინტერესებული პირების მხრიდან „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქციის შესრულება ხელს შეუწყობს პროფესიონალიზმს, რომ დაშვებული შეცდომა მომავალში აღარ განმეორდეს და უფრო გაიზარდოს სტანდარტები. „გაეროს ქალთა ორგანიზაციაზე“ მითითება იმდენად ხშირად გაკეთდა, რომ საჭიროდ ჩაითვალა ამაზე კომენტარის გაკეთება.

თამარ კაპანაძე მიესალმა ამ კომენტარს, ვინაიდან იმ გზაზე, რომელიც არხმა უნდა გაიაროს, და 2 კვირის წინ „გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების“ ხელმოწერა არ ხდის „მთავარ არხს“ იმთავითვე და ერთბაშად საუკეთესოდ მაღალი სტანდარტის გენდერულად სენსიტიურ მედიად. თამარ კაპანაძემ აღნიშნა, რომ „მედია ჩეკერის“ ბლოგის ფორმატის პოსტი [სტატია], მისი დაწერილია და ის ირონიის დოზა, რომელიც არ იყო შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული, გიორგი გაბუნიას ბლოგისგან განსხვავებით, არის ატანადი ვინაიდან ის არ არის აკადემიური სტატია, არამედ ბლოგის ფორმატი. მან წარმატება უსურვა არხს არჩეულ გზაზე, გამოხატა გულშემატკიფრობა და რწმენა, რომ მედიის დიდი როლიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი ისეთი რეიტინგული მედიის, როგორიც „მთავარი არხია“, ამ სტანდარტების მიყოლა და ათვისება, თუნდაც, რაღაც დროის პერიოდის მერე, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

კომისიის წევრები:

ნიკა გვარამია

თამთა მურადაშვილი

დიმიტრი სამაგლიშვილი გ.

თეონა ჩემია

³ <https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/82239-mizoginia-metaforul-enaze>